# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

1877—1888

სა პ ო ლ ი ტ ი კ ო დ ა ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ზ ე თ ი



## ქართული თეატრი

სამშაბათს, 23 თებერვალს,

მ. მ. საფაროვი-აბაშიძეს ბენეფისში

«ქართულ დრამატიულ საზოგადოების» დასის მიერ ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

**ორი ობოლი**

დრამა 4 მოქმედ. და 6 სურათად, გადმოკეთებული ფრანგულიდამ.

II

**გულმა იგრძნო**

ვოდევილი 1 მოქმედებად.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძესი, ავალოვისა, ლეონიძისა, თამაროვისა, ჩერქეზოვისა; ბბ. ყიფიანი, მოხევე, ცაგარელი, ხუციშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 7 1/2 საათზედ.


ტფილისი, 20 თებერვალი

როგორც უწყით, დღევანდელს საშუალო სწავლა-განათლებას ერთი ხასიათი და მიმართულება არა აქვს. საშუალო სასწავლებლები ორის გვარისანი არიან, სახელდობრ—კლასიკური, რომლებშიაც სწავლა-განათლებას საფუძვლად დადებული აქვს ბერძნულისა და ლათინურის ენების სწავლება, და რეალური, რომლებსაც საძირკვლადა აქვს ბუნების მეტყველება. ეს ორ გვარი სასწავლებლები ერთისა და იმავე უფლებით არ არიან აღჭურვილნი და იმათ კანონი ერთისა და იმავე თვალით არ უყურებს. კანონის ძალით, კლასიკური გიმნაზია ითვლება უნივერსიტეტის საფეხურად, ესე იგი ამ გიმნაზიის სწავლა-დამთავრებულ ყმაწვილ-კაცობას ნება აქვთ სწავლა განაგრძონ უნივერსიტეტში. რეალურ სასწავლებელთა მოწაფეთ-კი ეს უფლება არა აქვთ და მხოლოდ შეუძლიანთ თავი შეიფარონ სხვა-და-სხვა სპეციალურ სასწავლებლებში, რომელნიც თავიანთ უფლებით უნივერსიტეტს ვერ უდრიან.

ასე და ამ გვარად მოზარდს თაობას თავიდამვე ორი სხვა-და-სხვა გზა აქვს და თუ რითი ხელმძღვანელობენ, როცა ერთსა და ან მეორეს აირჩევენ ხოლმე ყმაწვილების მზრუნველნი, ამაზე ლაპარაკი აქ მეტი იქნება. ამ ორ გვარ სასწავლებელთა გამო დიდი ბაასი და კამათობა იყო მწერლობაში; ზოგნი ერთსა რჩეობდნენ და ზოგნი—მეორესა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთის მომხრენი მეორეს სრულიად უარ-ჰყოფდნენ, მაგრამ როგორც იყო, ეს კამათობა დასრულდა და თითქო ყველანი შეურიგდნენ ერთსაცა და მეორესაც. თუმცა დროთა ვითარება თავისას არ იშლიდა და აქა-იქ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე კლასიკურს და რეალურს სწავლა-განათლებაზე, მაგრამ თითქმის არავინ არ უარ-ჰყოფდა სრულიად ან ერთსა და ან მეორესა. მაგალითად, დღეს პრინციპიალურად არავინ არ უარ-ჰყოფს კლასიკურს სწავლა-განათლებას, და ლაპარაკი მხოლოდ იმის შესახებ აქვთ, თუ როდის და როგორ უნდა სწარმოებდეს ბერძნულისა და ლათინურის ენათა სწავლება და აგრეთვე იმასა სცდილობენ, რომ როგორმე მოურიგონ ერთმანერთს ის ორ გვარი სასწავლებელი და გაასწორონ იგი კანონის წინაშე. რაც დღე მიდის, ეგ ლაპარაკი თან-და-თან ძლიერდება და ეხლა ყველანი თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ რეალურს სასწავლებლებს იგივე უფლება უნდა მიენიჭოს, რომელიც მინიჭებული აქვს კლასიკურ გიმნაზიებსა. ყველანი იმას ამბობენ, რომ ორივეს შესწორება და შევსება უნდა; რომ რაც ერთს აკლია, ის მეორეს უნდა შეემატოსო და სხვანი.

ეხლა ამ საგნის შესახებ უცხოეთის მწერლობაში ლაპარაკი აღუძრავთ და როგორც ზოგიერთის ნიშნებიდგან სჩანს, საზოგადო აზრი და სურვილი დაკმაყოფილებული იქმნება. მაგალითად, გერმანიაში ბევრსა ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ უპირატესობა მიეცეს რეალურ სასწავლებლებსაო. ამის შესახებ საერო განათლების სამინისტროს მრავალი თხოვნა და რჩევა მიუღია საზოგადოებისა და კერძო მოღვაწეთაგან. ხსენებული აზრი იმდენად ძლიერი და ცხოველი ყოფილა გერმანელს საზოგადოებაში, რომ სამინისტრომ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია თურმე და მოიწადინა როგორმე დაეკმაყოფილებინა. რასაკვირველია, სამინისტროს არ ძალუძს ერთბაშად, ერთის კალმის მოსმით შესცვალოს უკვე დამყარებული და დამკვიდრებული წესი და კანონი, და ამიტომაც იგი, როგორც სჩანს, თან-და-თან განახორციელებს საზოგადოების აზრს და სურვილსა. სამინისტროს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი შეღავათი მიუნიჭებია რეალურ სასწავლებელთათვის, სახელდობრ ისა, რომ ამათში სწავლა დამთავრებულებს დღეის იქით ნება აქვთ სამედიცინო ფაკულტეტში ჩაეწერნენ და მედიცინა ისწავლონ. მართალია, ეს გარემოება მაინცა-და-მაინც დიდს უპირატესობას არ შეადგენს, მაგრამ სულ არარაობას ესეცა სჯობია. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია და პირველს ნაბიჯს ხომ მეორეც უნდა მოსდევდეს. ასე და ამ გვარად გერმანიაში დღითი-დღე მთავრობა და საზოგადოება ერთმანერთს მხარს აძლევენ და ეს ხომ უმთავრესი საბუთია ყოველისავე საქმის წარმატებისა.

რუსეთშიაც ამ გვარადვე მიმდინარეობდა საზოგადო აზრი, ამ გვარადვე ვრცელდებოდა ის აზრი, რომ ორსავე სასწავლებელს ბევრი რამ შესასწორებელი და შე-

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

კურიოზები

ეს ერთი კვირაა, მოიქრუშა ტფილისის ცა, აპირობს თოვლსა და ვერც მოუხერხებია. თოვლის მაგიერ ჰქინქლავს და სწვიმს, სწვიმს და ჰქინქლავს. ამასობაში ტფილისის ქუჩები ისეთ ყოფაშია, რომ, თუ არ დიდი გაჭირება, კაცს ცხვირი არ გამოეყოფება გარეთ. ეს გოლოვინის პროსპექტი ხომ ტროტუარით არის მორთული, მაგრამ აქაც-კი გუბე და წუმპეებია. იფიქრეთ ახლა, რა დღეში იქნება ავლაბრისა, კუკიისა და ვერის მივარდნილი ადგილები. სად წახვალ ამისთანა ამინდში! უნდა ნება-უნებურად იჯდე სახლში. ეს ოხერი და ტიალი, ბუზები მაინც იცოდეს ზამთარში, კაცი დასთვლიდა და ამაზე გულს გადააყოლებდა.

აღარც თეატრი გეხალისება, აღარც კლუბი, აღარც ნაცნობებში სიარული. ან-კი როგორ წახვალ ნაცნობებთან და გინდ წახვიდე, რას მიიტან! ნახევარზედ გასვრილსა და გატალახიანებულს ტანთ-საცმელს და ინდოურივით ჩამოშვებულს ცხვირპირსა. მერე ვისთვის-რა საამური სანახავი იქნები ამისთანა ოროშაბათის ყეენი!..

არა, მეტი გზა არ არის, უნდა სახლში იჯდე გულ-არეული, მოუსვენარი და თითქო ვილაცაზედ გაჯავრებული. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ამისთანა ამინდმა დიდხანს გასტანოს. ჩვენებურ კაცს თუ მუდამ არ შესცინის მხიარული ცა და თავზედ არ დაჰხარის თავის ლაჟვარდის ციაგით, მაშინ სიცოცხლეს ეკარგება ცხრა წილი ფასი და ხელთა გრჩება მარტო ერთი წილი, რომელსაც აღარა აქვს შენთვის აღარავითარი მადლი. მარტო რომ შენ იყო დაღრეჯილი და დაღონებული, ეგ კიდევ ღვთის წყალობა იქნებოდა, მაგრამ ცეცხლი ის არის, რომ მთელს ქალაქს შემოივლი და ერთი მხიარული სახე არ შეგხვდება ამოდენა მოსიარულე ხალხში. ყველანი დაღვრემილები და გაბოროტებულები მიაშლაპუნებენ ვინ იცის საით და ყველანი მიჰბუტბუტობენ, მიიგინებიან, მიილრინებიან. ღმერთმა დაგიფაროს, ვისმე ხმა გასცე: გამარჯობა რომ უთხრა, დარდუბალად ესმით, მოგდგებიან და ვაი შენი ბრალი...

ასე დაგვაბერა, დაგვაძაპუნა და მოგვხარა წელში ამ ერთის კვირის უამინდობამ. ტკბილი სიტყვა აღარ საიდამ გესმის, შენც თვითონ შხამის მეტი აღარა ამოგდის-რა პირიდამ. და ყველაზე ძნელი-კი ის არის, რომ თვით ხსოვნაცა გღალატობს, კარგს აღარას გაგონებს, თითქო შენს დღეში კარგი არა გენახოს-რაო. წარსულიდამ სულ ისეთი რამ გეხატება, რასაც ერთხელ როდისღაც გაუნაწყენებიხარ და გაუბოროტებიხარ.

**

ფელეტონის წერას რომ მოვყე, გულით მინდოდა ამ საზიზღარ ამინდს ბჭყალი არ გამოეკრა ჩემის წერილისათვის. ვამბობდი—მკითხველს რაღა ეს უნდა, რომ უფრო ცუდს გუნებაზედ მოვიდეს-მეთქი. მაგრამ რასა იქ, როდესაც თვალში გიდგანან მარტო ისინი, ვისაც ასე თუ ისე გაუჯავრებიხარ, გულზე მოუყვანიხარ. აქამდის თუ ითმინე და თითქმის სამუდამოდაც დაივიწყე, დღეს, ამ საძაგელს გუნებაზედ, მოსვენებას არ გაძლევენ და გული დოგა-დოგა დაგდგომია—გინდა თუ არა, ეხლავ ამოიყარე იმათი ჯავრიო. ამიტომ ისინიცა და თქვენც მე ნურას დამემდურებით, თუ მე ეხლა იმათთან ცოტათი მაინც ანგარიშის გასწორებას შევუდექი. ეს სულ ამინდის ბრალია, და დაემდურენით ამ ამინდს, რამდენიც გნებავდეთ.

ყველაზე ხშირად, თითქმის დღეში ათჯერ, ამ საძაგელს ამინდში თვალ-წინ მელანდება ერთი ბაჩა, კაწაწებიანი, ჩაქოსმანებული წვეროსანი, რომელმაც ერთი ყოფა დაგვაწია—უთუოდ უნდა დაჰბეჭდოთ ჩემის კალმის პირველი ნაწარმოებიო. მერე რასა გვწერდა? «სიმართლის» აღდგენას. ჩვენმა გაზეთმა მოიხსენია ღვაწლი ერთის მღვდლისა, რომელმაც განაახლა ძველი მონასტერი და იქვე სკოლა გაჰმართა. «სიმართლის» აღმდგენი გვწერდა: „ნუ თუ ქების ღირსია კაცი, რომელმაც ამასა და ამას შაქრის თავები მიართვა ქრთამად, ოღონდ იწამე ღმერთი და სკოლის გამართვაში წინ ნუ გადამეღობებიო.

— ეგ ჭორიაო, ვუთხარით ჩვენა.

— როგორც კაცი, ჩემს პატიოსნებას გეფიცებით, რომ მართალია. თუ არა გჯერათ, დაჰბეჭდეთ და პასუხის მგებელი მე ვარო—გვიპასუხა კაწაწებიანმა.

— კაცს თავზედ ლაფი ჩვენ დავასხათ, არ-კი გვჯეროდეს თქვენი სიტყვა, და მარტო იმის იმედით, რომ პასუხის მგებელი თქვენ იქნებით! აბა ეგ სადაურია.

გვეხვეწა, გვემუდარა. ვერას გაჰხდა. მუქარაზე გადავიდა. ბოლოს ლანძღვა მოიწადინა—მაგაზედ ცუდიც ბევრი დაგიბეჭდიათ, მაგრამ მტრობაა ჩემი, სხვა არაფერიო. ჩვენ-კი პირველად გვენახა ეს ახირებული კაცი, და ნეტავი არც მაშინ გვენახა, რომ ეხლა ამ ამინდში არ გაემწარებინა ჩემი სიცოცხლე იმის მოგონებასა.

რა-კი ერთი წარმომიდგება კაწაწებიანი, იმას თან მოჰყვება ხოლმე

გიერთ ჩვენის დრამატურგისაგან. ეს გარემოება ფრიად სამწუხაროა, მით უმეტეს, რომ ჩვენს თეატრს ძალიან ნაკლებადა აქვს რიგიანი პიესები, თუ თარგმნილი და თუ ორიგინალი და სათეატრო დასი იძულებულია ისეთი დაძველებული პიესები წარმოადგინოს, როგორიც არის «მზის-დაბნელება», რომელიც გუშინ, 19 თებერვალს ითამაშეს. ხალხი ამ წარმოდგენაზედ ნაკლებად დაესწრო.

*** ქვედა-აჭარიდგან გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი აბდულ ეფენდი მიქელაძე: „ამ ჩვენს აჭარაში ერთი კვირა არის, რაც გაჩნდა რაღაც გადამდები ავადმყოფობა. ეს ავადმყოფობა ნამეტურ ყმაწვილებს დაერია. პირველად ყელი უსივდება, ძლიერ სიცხეს მისცემს, საჭმელს ველარა სჭამს. თუ სასიკვდილო არის, შვიდს დღეზედა კვდება და თუ მოსარჩენი პირი აქვს, ავადმყოფს მთელს ტანზედ გამოჰყრის წიტებს (?) წითლად, მერე ტყავი გასძვრება და სიკვდილს გადურჩება. ამ ავადმყოფობით მრავალნი არიან ეხლა ავად. ზოგი ვითომ ცოტათი მორჩა და რამდენიმეკი მოკვდა. ამ ავადმყოფის გამოსაკვლევლად მართველობისაგან არის განკარგულება ნაქმარი და ვნახოთ, რა ავადმყოფობას გამოაჩენს ექიმი“.

*** სოფ. ილორი (იგივე საჭილაო—სენაკის მაზრისა): მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ველირსეთ სკოლის ახალს შენობას იმის ნაცვლად, რომელსაც ამ სამის წლის წინად ვილაც ბოროტ გამზრახველმა ცეცხლი წაუკიდა. მართალი რომ მოგახსენოთ, ისე მოხარულნი არიან აქაურნი სამოც-და-ხუთი შეგირდი, თითქო მხოლოდ დღეს ელირსნენ სინათლის დანახვასა. წარმოიდგინეთ, დღემდის ამოდენა შეგირდები მომწყვდეულნი იყვნენ ერთს ვიწრო და გრძელს ოთახში, რომელიც სოფლის კანცელარიამ დაუთმო. ეს ოთახი ძალიან მოუხერხებელი არის სკოლისათვის, რადგანაც ზაფხულში ყმაწვილებს სიცხე აწუხებდა და ზამთარში—სიცივე. სკოლის ახალი შენობა ორს კვირაზე სრულიად დასრულებული იქმნება, თუ რომ ამინდებმა იჯარადარს ხელი არ შეუშალა. ფული სკოლის ასაგებლად ზოგი გლეხობამ მოაგროვა და ზოგიც აქაურმა აზნაურობამა და სამღვდელოებამ შემოსწირეს. ამათ შემოაწიეს გლეხობას ორმოც-და-ხუთი მანეთი. შემომწირველთა სია უკვე დაბეჭდილი იყო «ივერიაში» შარშან. ერთის სიტყვით, აქაური აზნაურობა და სამღვდელოება დიდის მადლობის ღირსია, მეტადრე პირველი.

დღეის იქით იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქაურს სკოლაში სწავლა უკეთ იწარმოებს, რადგანაც მასწავლებლების და შეგირდების უკეთესს გარემოებაში იქნებიან.

*** კავკავი: თან-და-თან სხვა-და-სხვა სენი ვრცელდება კავკავის მაზრაში, ნამეტნავად გავრცელებულია ბავშვების ავადმყოფობა. აქამდის ყელჭირვება მძვინვარებდა სოფ. გიზელში და ეხლა ამ სენს მიემატა ყვავილიც და ეს ორი სენი ერთად მუსრს ავლებს სოფ. გიზელის ყმაწვილებს. უარესი დღე დაადგა სოფ. ხუმელაგას, სადაც პირველ იანვრიდგან მოყოლებული ოც-და-თხუთმეტი ყმაწვილი იმსხვერპლა ყვავილმა. ამათში ოც-და-ოთხი ვაჟი იყო და ცამეტი ქალი. კარგი, თუ კიდევ ამას დაგვაჯერა ბედმა; ისიც მოსალოდნელია, რომ შემდეგისათვის სნეულება კიდევ უფრო გაძლიერდეს და გავრცელდეს, რადგანაც ყურის-მგდებელი ჯერ არავინა სჩანს.

*** იქიდამვე: მინდვრის ოსებს უკვე გამოუცხადეს, რომ ქურდების დასასჯელად «როზგი» იქმნება შემოღებულიო, და ამის თაობაზე შესაფერი დარიგებაც მოუვიდათ სოფლის კანცელარიებს. ეხლა ყველა კანცელარიებს «როზგების» კონა ამშვენებს; შეხვალთ თუ არა, უპირველესად თქვენს ყურადღებას მიიქცევს ლამაზად შეკრული «როზგები», რომლებსაც ოსებმა «ქურდების სულთა-მხუთავი» უწოდეს. ალბად შველის იმედი აქვთ. აბა, ვნახოთ სხვა საშუალებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება თუ არა როზგი?

*** 19 თებერვალს პოლიციის 1-ლს ნაწილში, კალიუჩი ბალკის ქუჩაზედ, ოსმალეთის ქვეშევრდომ სეროფა კამარიანის ფურნიდგან გაიტანეს ლია დახლი. დახლში იყო 225 მანათი ფულად, ოქროსი და ვერცხლის ნივთები 60 მან. და ვექსილი 100 მანათისა. ზოგიერთი ნივთები, ფულად 60 მან. და 100 მან. ვექსილი ყუთიანურთ პოლიციის ჯარის-კაცთ ლიაპონმა და ბულანოვმა იპოვნეს კალიუჩი ბალკის შესახვევს ვიწრო ქუჩაში. დამნაშავეთა აღმოსაჩენად და დაკარგულის საპოვნელად ღონის-ძიებაა მიღებული.

*** 19 თებერვალს კალიუჩი ბალკაში მეფურნეებს, ოსმალეთის ქვეშევრდომთ ხალალ-ჰუსეინ-ოღლის და მამედ-მუსტაფა-ოღლის, ჩხუბი მოუვიდათ ანგარიშისათვის, ჰუსეინ-ოღლიმ ცული დაარტყა თავში მუსტაფას და დასჭრა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს და ბრალდებული დაპატიმრებულია. გამოძიება სწარმოებს.

*** 19 თებერვალსავე, ღამის სამს საათზე, პოლიციის მე-7 ნაწილში ეკატერინე ხმალაძის სახლს დაეცნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი ჰასან-ჰუსეინ-ოღლი და ბაბა იმამ-ოღლი, ხანჯლებითა და რკინის კეტებით შეიარაღებულნი. ავაზაკებმა ხელაძის სახლის კარები შეამტვრიეს, მაგრამ ამ დროს თავზე წაადგნენ პოლიციის მე-5 ნაწილის პოლიციელები და მოიწადინეს ქურდების შეპყრობა. ქურდები გაუძალიანდნენ, ამის გამო პოლიციელთ იარაღი იხმარეს და ჰასანა მარჯვენა ხელში დასჭრეს ხმლით, ბაბა-იმამი-კი ტყვიით მარცხენა გვერდში. ბაბა-იმამი გაჰგზავნეს სამკურნალოში. გამოძიება სწარმოებს.

## ქართლ-კახეთის სამღვდელო[ების] წარმომადგენელთა კრებ[ა]

18-ს თებერვალს ქართლ-კახეთის სა[მ]ღვდელოების წარმომადგენელთა (დეპუტატთა) და ბლაღოჩინების კრებამ განიხილა ორი საგანი: წმინდა სანთლის წარმოებაზედ და სასულიერო სემინარიის საპარალელო კლასებისა[თვის] შენობის აგებაზედ. წმინდა სან[თლის] წარმოებაზედ ლაპარაკი მეტად გამწვავ[და] და აი რადა: ტფილისის საეპარქიო წმინდა სანთლის ქარხანა ამზადებს და ასაღებს წელიწადში ორი ათას ხუთას (2.500) ფუთს წმინდა სანთელს, ამ (2.500) ფ. წმ. სანთლის გასასყიდად და სომხების[?]ყალბის (იაფ ფასის) სანთლის გაჭრობის საკონკურენციოდ ქარხანასა აქვს გამართული შვიდი საწყობი—ტფილისის სიონის სობოროსთან, სიღნაღში, გორში, ცხინვალში, თელავში, დუშეთში, ალექსანდროპოლში, და ერთიც თვლით სავაჭრო დუქანი სიონის სობოროსთანვე ტფილისში. ამას გარდა ბლაღოჩინებს ეგზავნებათ სანთელი (საჭიროების რაოდენობისამებრ)—ახალციხეში, ბაქოში, ერევანში, ჯავის ხეობაში, ანანურში და თვით ტფილისში. სამაზრო ქალაქებში სანთლის საწყობის გაჭრობას აწარმოებენ ორ ნაირად: წონით და თვლით. ამისათვის ტფილისის სანთლის ქარხანა ორ ნაირ სანთელს ამზადებს—ერთს წონით გაჭრობისათვის, მეორეს—თვლით. დღევანდელს კრებაზედ ზოგიერთნი წარმომადგენელნი თხოულობდნენ ამ ორ ნაირის გაჭრობის განცალკევებას, რომ სამაზრო სანთლის საწყობებში ე. ი. საწყობში ეგაჭრნათ წონით და სამაზრო ეკკლესიებთან თვლით ისე, როგორც ტფილისის სიონის სობოროსთან. ამის საბუთად მოჰყავდათ (მღვდელს ჯავახიძეს და მღვდელს გარბელაშვილს) ბოროტ-მოქმედება ამ ორ ნაირის გაჭრობის შეერთებისა გამო და აი როგორ:

---

ბიდამ საქმიანი წერილები მოგვდიოდეს, იქაური ვითარება, შესანიშნავი ავი და კარგი გვაცოდინონ. გვენატრება, რომ სოფლის ინტელიგენცია მიჰხვდეს და გამოიყენოს თავისი სოფლად ყოფნა, გაიცნოს იქაურობა და გააცნოს სხვებსაცა. ამიტომაც არის, რომ არც ერთ წერილს არ დავტოვებთ და თავიდამ ბოლომდისა ვკითხულობთ, ეგებ სადმე მივაგნოთ რაიმე საყურადღებო ამბავსაო. ზოგჯერ ათსა და ოცს წერილს წაიკითხავ და ერთს პატარა გონება—მოსაჭიდებელ ამბავსაც ვერ წააწყდები, მაგრამ მაინც იმედს არა ვკარგავთ, რომ სოფლის ინტელიგენცია, დღეს იქნება თუ ხვალ, ჩაჰხვდება თავის მოვალეობას და საქმიანის თვალით ჩააკვირდება ცხოვრებასა, რომ დაიჭიროს შესაფერი ადგილი ჩვენის წარმატების ასპარეზზედ.

ამ იმედით წაქეზებულნი, ვტაცებთ ხოლმე ფოსტის წერილებს ხელსა და, ამბებისა და გამოკვლევის ნაცვლად, ვკითხულობთ ლექსებსა და ლექსებს, მერე რის თაობაზედ?—რა მოგახსენოთ. ხშირად თვითონ პოეტებმაც არ იციან, რასა და რაზედ სწერენ, და თანაც პროზათი გვეხვეწებიან—თუ ლექსი არ ვარგოდეს, ბატონებო, ნუ დამეთავაზებით, შეასწორეთ. უფრო-კი უკეთ იზამთ, რომ სულაც თქვენ დასწეროთ, ოღონდ ბოლოში-კი ჩემი სახელი მოაწერეთ და შემდეგ მე სულ იმ [კ]ალობაზედ, იმისდა მიხედვით არ და[ვ]ზოგავ თქვენთვის ლექსებსაო. ხშირად თვითონ პოეტები ვერა ჰბედავენ და მათ მაგიერ მშობლები გვეხვეწებიან—ბატონებო, თუ ამ ლექსს არ დაჰბეჭდავთ, ჩვენი შვილი, როგორც ვიცით იმისი სუსტი გული, ძალიან ინაღვლებს და ლოგინში ჩავარდება. აბა რა მადლი იქნება თქვენთვის, რომ ცალკე ის ყმაწვილი გახდეს ავადა და სამუდამოდ დაჰკარგოს წერის ხალისი, ცალკე ჩვენ, იმისნი მშობელნი, გავმწარდეთ. იმედი გვაქვს, რომ არ დაიშურებთ წყალობასა და ჩვენს შვილს ქვეყანაში გამოიყვანთო.

მოდი შენა და «ქვეყანაში გამოიყვანე» ბავშვი, რომელსაც სრულებით უადგილოდ შეჰყრია პოეტობა და სწერს ლექსებს თუნდა ისეთის ნიჭიერებით, როგორც ზევით იყო მოხსენებული, ანუ იმაზე ცოტა უკეთ.

ერთის სიტყვით, ამ პოეტობის ჭირმა «ზაჰლა წაიღო», როგორც იტყვის ხოლმე მედუქნე დავითა, როცა ნისიად უგზავნის შაქარს თავის ღარიბ მუშტარს, უადგილო მწერალს ხაზინის პალატისასა.

**

ხშირად მივიღებთ ხოლმე წერილებს შემდეგის შინაარსით: «ბატონო რედაქციავ! ძალსა და რბილში გამიჯდა თქვენის გაზეთის კითხვა. მაგრამ მცხვენიან სულ მეზობლებისაგან ვითხოვო ხოლმე. მთხოვარას მეძახიან. რა ვალად წაგივათ, რომ თითო ცალი გაზეთი მიგზავნოთ და დამიხსნათ სხვების მძიმე მუნათისაგან. რაიცა შეეხება გაზეთის ფასს, როცა იქმნება, მოგართმევთ. ჩემზედ ფული არ დაგეკარგებათ. მერწმუნეთ, როგორც კარგს ქართველს კაცსა».

თითქო გაზეთი ჩვენ მუქთად მოგვდიოდეს, თითქო გაზეთსა ვთესდეთ ქუჩაში უქიროდ, უხარჯოდ, გაურჯელადა ემკიდეთ, ვლეწდეთ, რომ იმისი გზავნა ვალად არ წაგვივიდოდეს. ჩვენ აქ ჭაპან-წყვეტაში ვართ, არ ვიცით, თავი და ბოლო რითი გავუსწოროთ ანგარიშსა, და იქ გვიბნებიან—რა ვალად წაგივათ თითოთითო ნომერიო, მენდეთ, «როგორც კარგს ქართველს კაცსაო». წადით და ენდეთ, თუ ჯიბე აიტანს!..

ეს კიდევ არაფერი. აქ გულითა და სულით გინდა ენდო, „როგორც კარგს ქართველს კაცსა“, მაგრამ თითო-თითო ნომერს ფული უნდა, რედაქცია-კი ფულზე მწყრალად გახლავთ, და ვის არ მოგეხსენებათ, რომ დღეს უფულობა ბევრში ელობება კაცის გულ-კეთილობასა. ერთის სიტყვით, ამისთანა წერილებს როგორც იქნება გაუძლებ, თუმცა-კი გული გტკივა, რომ შეძლება არ გაძლევს ნებას სიკეთე გაუწიო შენს მოყვასსა და თანაც «კარგს ქართველს კაცსა». მაგრამ რას იტყვით, როდესაც წაიკითხავთ ერთსა და ორს-კი არა, ას ამისთანა წერილს: «ბატონო გაზეთო! გთხოვ გამომიგზავნოთ თქვენი «ივერია» ერთის წლით. ფულზე დაბრკოლება არ გექნებათ—მაშინათვე მოგართმევთ, რა წამს მომივა გაზეთი. ეხლაც მოგართმევდით გაზეთის ფასსა, მაგრამ თქვენი ადრესი არ ვიცოდი. თქვენი ერთგული ყმა და მოსამსახურე იაკინთე იაკინთოვი».

რას იტყვით ამისთანა საკვირველ წერილებზე. საზოგადოდ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ ხომ აქვს მაინც ფეხები. ამისთანა უფეხო ტყუილი-კი სწორედ შეუძლებელია: გვარწმუნებენ—ფული იმიტომ ვერ გამოგიგზავნეთ, რომ თქვენი ადრესი არ ვიცოდითო, და წერილს-კი პირდაპირ ჩვენს ადრესზედა სწერენ! მოდი შენა და სდიე ამისთანა ხელისმომწერსა...

**

თქვენ დაიღალენით, მკითხველო, ამ გრძელის აქიითა, მაგრამ ჩვენც-კი მოგვწყინდა, მით უმეტეს, რომ აგერ ცამ მოგვხედა და გამოდარებას აპირებს. ამიტომ ცოტაცა და კიდეც გავათავებ. ან კი როგორ დავიჭირო თავი და არ გიამბოთ ერთი საკვირველი ამბავიცა. ჩვენში დღეს ვინც ერთ ათიოდე სტრიქონს დაბეჭდავინებს გაზეთში, თავისი თავი მსოფლიო მწერალი ჰგონია. არის ერთი ახალგაზდა, რომელსაც მოეპოვება საკმარისი ცოდნაცა და ხალისიც, რომ საგაზეთო ამბები და ცნობები სწეროს იმ ადგილიდამ, სადაც თვითონა სცხოვრობს. კიდეცა სწერდა ეს ყმაწვილი. გაზეთებიც მადლობითა ჰბეჭდავდნენ იმის წერილებსა და საზოგადოებაცა კითხულობდა. უბედურება ამ ახალგაზდისა ის [გ]ახლდათ, რომ თავისი თავი, როგორცა ვსთქვით,

ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხანა ყოველ სამაზრო სანთლის საწყობს უგზავნის როგორც წონით, ისე თვლით გასაჭრობისათვის გადაკეთილ სანთელს, ვსთქვათ წონით გასაჭრობისათვის 80 ფუთსა, და თვლით გასაჭრობისათვისაც 30 ფუთსა. საწყობების დასხლიდარნი ესე ოსტატობენ თურმე: რადგან თვლით გასასყიდის სანთლიდგან მაგდენ მოგებას ვერა ჰნახავენ, ამისათვის ამ 30 ფუთიდგან 15 ფუთს წლის დამლევამდე შეინახავენ, უკან დააყენებენ და სანთლის ქარხნის გამგეობას აჩვენებენ —ეს გასასყიდი დარჩაო. 15 ფუთის გასყიდულისას-კი ფულს გამოჰგზავნიან. 80 ფუთი წონით გასასყიდ სანთლიდგან-კი მხოლოდ ოცს ან მეტს ფუთს გაჰყიდიან წონით და დანარჩენს თვლით. ერთი ფუთი წმინდა თეთრი სანთელი 40 მანათი ჰღირს (და ასე უსწორდებიან სანთლის ქარხანასაც) და თუ ეს ერთი ფუთი სანთელი თვლით გაიყიდა, მაშინ ამოიღებს 85 მანათს 40 მანათის მაგიერ. ამ ნაირად დასხლიდრები თუ სხვანი ჯიბეში იდებენ 45 მანათს და 40 მანათს-კი სანთლის ქარხანას უგზავნიან. ვსთქვათ, 80 ფუთ წონით გასასყიდ სანთლიდგან 40 ფუთი თვლით გაჰყიდეს; ეს 40 ფუთი სანთელი, თვლით გასყიდული, ამოიღებს 3,400 მანათს. აქედამ ქარხანას ჰრგება 1,600 მანათი და დასხლიდარს, ანუ იმის ალას დანარჩენი 1,800 მანათი. კრებამ დაადგინა: „საწყობებში სანთლის გაჭრობა მიენდოს უფრო სანდო კაცთა და ყოველ თვე ორი მოანგარიშენი (контрольеры) დაენიშნოთო“.

შემდეგ მეორე საგნის თაობაზედ, სემინარიის შენობის მომატებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. ამ საგნის განსამარტებლად კრებამ მოიწვია სემინარიის რექტორი, რომელმაც აცნობა კრებას, რომ საგუბერნიო ხუროთ-მოძღვარმა და მკურნალმა სემინარიის ეზოში შესაძლებლად სცნესო შენობის მომატება. ამასთან მამა რექტორმა აცნობა კრებას, რომ შარმან-წინ მე რომ მოვედი, სემინარიას 3,000 მანათი ვალი ემართაო. მე ეს ვალიც მოვიშორე და ყოველ წლიურ ხარჯს კიდევ მოვანარჩუნე სხვა 3,000 მანათიო. კრებამ ამისთანა შრომისათვის იქვე მადლობა გამოუცხადა მამა რექტორს. ამის შემდეგ, რექტორი რომ წავიდა, თავ-მჯდომარემ, მამა ხუციშვილმა, პირდაპირ იკითხა: აბა რა საშუალებით უნდა ავაშენოთ საჭირო შენობა, რომელსაც 40,000 მანათი უნდება ვარაუდითაო; ან საიდგან უნდა ვიშოვოთ ეს ფულიო? ამაზედ „მწყემსის“ რედაქტორმა დეკ. ღამბაშიძემ წარმოსთქვა: „იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოება იხდის წელიწადში 1,700 მანათს სასპარალელო კლასების შესანახავად; ამას გარდა, საერო წოდების შვილებს, რომელნიც სემინარიაში სწავლობენ, რატომ არ უნდა ვახდევინოთ სწავლების ფასი (за право ученія) ისე, როგორც საერო სასწავლებლებშიო?“

სამღვდელოებამ ეს აზრი მოიწონა. შემდეგ მღ. კარბელაშვილმა წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი: «წარმოვიდგინოთ, რომ სანთლით ვაჭრობა გავრცელების მაგიერ, რასაც ჩვენ ვცდილობთ, რომელისამე შემთხვევით უფრო შემცირდა, რადგან იაფის სანთლით მოვაჭრე სომხებიც უფრო მეტად ოსტატურად ცდილობენ თავის საქმის წაყვანასა. სანთლის ქარხანა არ არის კარგ ყოფაში, მას ჰმართებს ვალი 64,000 მანათი; წელიწადში იხდის 28,000 მანათს სასარგებლოდ ტფილისის სასულიერო ვაჟებისა და ქალებისა, გორის და თელავის სასულიერო სასწავლებლებისა, ხირსის მონასტრისა, წმ. ნინოს სობოროსი და თელავის გარის ეკკლესიისა. ამისათვის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს ამ ქარხნისა. საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების სასულიერო სასწავლებლებთან მოსამზადებელ კლასსების და სხ. საჭიროებათათვის თითო კრებული იხდის, ეკკლესიებს გარდა, წელიწადში 30 მანათს; თელავის სასწავლებელს ჰმართებს 6,200 მანათი ვალი; გორის სასწავლებელს უნდა აუშენდეს სახლი, რომელიც გორის მაზრის სამღვდელოებას დაუჯდება 80,000 მანეთი; ტფილისის მაზრის სამღვდელოებას მოსაშორებელი აქვს ის 8,000 მანათი, რომლითაც შეისყიდა ცარიელი ადგილი სასულიერო სასწავლებლისათვის კუკიაში. ამ გვარად ჯერ-ჯერობით არც ეპარქიის სამღვდელოთაგან უნდა გვქონდეს დიდი იმედი. მაშ რა უნდა ვუწამლოთ ამ საქმესა? აი რა: აწინდელის სემინარიის შენობა ნასყიდია საკუთრად ქართლ-კახეთის საეკკლესიო ხაზინის მიერ 30,000 მანათად ზუბალოვისაგან. აქ იზრდებიან შვილები გარდა ქართლ-კახეთის სამღვდელოებისა: იმერეთის, გურია-სამეგრელოს, აფხაზეთის და კავკავის ეპარქიების სამღვდელოებისა და კავკასიის სამხედრო უწყების სამღვდელოებისა. სიმართლე მოითხოვს, რომ სასპარალელო კლასებისათვის შენობის ასაგები ფული გარდაიხადონ—იმერეთის, გურია-სამეგრელოს, აფხაზეთისა და კავკავის ეპარქიების და კავკასიის სამხედრო უწყების სამღვდელოთა, მით უფრო, რომ მთელს საქართველოს საეგზარხოსოში ეს ერთად-ერთი სემინარიაა. ამ ორის წლის წინ ხომ იმერეთის სამღვდელოება ცდილობდა საკუთარის სემინარიის დაარსებისათვის და მოგროვილი ფული უკანვე დაუბრუნეს პატრონებს. ოთხის ეპარქიისა და სამხედრო უწყების სამღვდელოთათვის 40,000 მანათი საძნელო არ არის“.

მღვდელმა ჯაჯანიძემ ამას დასძინა: ვინიცობაა, ქუთაისში სემინარია გაიმართა ოდესმე, მაშინ ქართლ-კახეთის სამღვდელოება გასცემს პასუხს დახარჯულს ფულებში და ახალს შენობასაც დაისაკუთრებსო. კრებამ მოიწონა წარმოთქმული და განაჩენი ამ ნათქვამის თანხმად დაადგინა. ბოლოს სიონის დეკანოზმა მ. ელიევმა სთხოვა კრებას, რომ სიონის სობოროს დაედო 6,000 მანათი ვალი საეკკლესიო მუზეუმისათვის შენობის აგებაშიო და გთხოვთ ეს ფული საქართველოს ეპარქიის შეძლებულ ეკკლესიებს გარდაახდევინეთო. კრებამ უარი უთხრა: აშენება რომ არა გვკითხეთ, ნურც ფულების გადახდასა გვკითხავთო. ამით დაბოლოვდა კრება სამღვდელოებისა 18-ს თებერვალს.

ცხვილოელი

## სახელდახელო

ეს ოცი საუკუნეა, გვასწავლიან—მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო. მაგრამ რა გამოვიდა, რომ გვასწავლიან. ჩვენ მაინც იმ მგელსავით, რომელსაც თავზე სახარებას უკითხავენ, სულ ტყისაკენ ვიყურებით, ევებ უპატრონო ბატკანს შევასწროთ სადმე თვალი, დავავლოთ კბილი, გავიტაცოთ ბნელს ტყეში და ქეიფი გავსწიოთ ნორჩ ბატკნის ჩიჩიითაო მოთმინებაო,—და ჩვენისთანა გულ-სწრაფი ხალხი-კი თითქმის არსად მოიძებნება.

აგერა აიღეთ თუნდა ბ-ნი ექიმი ქოჩორიანცი, ხმოსანი ტფილისის საბჭოსი. განათლებული კაცი, ხანში შესული, კაცი, რომელმაც რამდენიმე ათი წელიწადი მეცნიერების სამსახურში გაატარა, ექიმი, რომელსაც უნახავს ბევრი ავიცა და კარგიც, რომელმაც იცის, რომ ყველაფერს დრო და ჟამი უნდა; რომელსაც არა მარტო ულაპარაკნია, წიგნებიც უწერია, რომ მშიერს კაცს ჭამა ძალიან არგებს, მწყურვალს სმა მოუხდება, ადამიანს კარგი სადგომი უნდა ჰქონდეს, სუფთა ჰაერში იყოს, ავადმყოფს წამლობა და მორჩენა ეჭირება,—ერთის სიტყვით, კაცი, რომელმაც ყოველივე ესეები იცის, რომელსაც გამოუცდია, რომ ყოველივე საგრძნობი ნაბიჯი კერძო თუ საზოგადობრივ ცხოვრებაში თხოულობს დროსა და ხანს, უცებ ამისთანა გამოჯეკილი და გამოცდილი ნასწავლი კაციც-კი საშინლად გულ-სწრაფობს. აბა სხვა ჩვენისთანა სადა და უბრალო მომაკვდავი რაღა უნდა იყოს!

თქვენ ხომ ვერ წარმოიდგენდით, რომ ამისთანა მაღალ კიბეზე მდგარი კაცი გულ-სწრაფი იქნებოდა, დაჰკარგავდა მოთმინებასა და სიდინჯეს, მაგრამ საქმე-კი სწორედ ასე იყო. გნებავთ მოიგონეთ იმ დღევანდელი ანგარიში ქალაქის საბჭოს კრებისა. ბ-ნი ქოჩორიანცი გულისწყრომით ისაყვედურებოდა, რომ რა საჭიროა ვერის ხიდის ტროტუარით დაფენაო! ისეც ზარალს აძლევს ქალაქს ეგ ხიდიო! კიდევ კარგი იქნებოდა, რომ ფეხით მოსიარულენიც ბაჟს გვაძლევდნენ გავლა-გამოვლისათვის, მაშინ ბატონი ბრძანდებით, გაუკეთეთ ეგ ტროტუარია, თუ რაღაც ეშმაკიო. თუ არა-და, გიჟები ხომ არა ვართ, მუქთად ვალაზათიანოთ ქუჩები, ხიდების ასავალ-ჩასავალებიო. ვინა ბრძანდებიანო! ეგეც მეტია იმ ვიღაც ფეხით მოსიარულეთათვისაო.

თუ არა გულ-სწრაფობა, აბა სხვა რა ათქმევინებდა ბ-ნს ქოჩორიანცს ამისთანა სიტყვებს. პირველი ეგ, რომ ხიდიდამ ფულით სარგებლის აღება იმ ყაიდაზედ ხომ არ იქნება, როგორც მაღაზიებში დამპალ საქონლის გასაღებაა. გრომშიც რომ არ შემოეტანა, ეს ხიდი მაინც საჭირო იყო ქალაქისათვის. აბა ექიმი მაინც როგორ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რომ ფეხით მოსიარულე ხალხს შეუმოკლონ გზა, გაუადვილონ მისვლა-მოსვლა, კაცი მშრალად გაატარონ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხიდი ჯერ გუშინდელი საქმეა. თან-და-თან მომეტებულს შემოსავალს იძლევა. მაგ ხიდის წყალობით ახლო-მახლო მდებარე ადგილებს ეტანებიან ფულის პატრონები. არ გაივლის ათიოდე წელიწადი და ისეთს სახლებს წამოსჭიმავენ ხიდის მახლობლად, ისე გაცოცხლდება იქაურობა და ისეთი მოძრაობა იქნება, რომ მოგებით ამოიღებს ქალაქი თავის დანახარჯსა. იქნება მაშინ, თუ ბ-ნი ქოჩორიანცი ისევ ხმოსნად შეჰრჩა ჩვენს საბჭოსა და არ მოაკლო თავის გონიერი რჩევა და სამსახური, თვით ამანვე უსაყვედუროს ქალაქსა—რაც ფული აიღეთ ვერის ხიდიდამ, ისიც არამაა, გეყოფათ;

---

…იდ მწერლად მიაჩნდა, თავხედ ბუზს აღარ ისვამდა და ეგონა, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისაც დიდებულ მწერლადა სთვლის, თუმცა-კი ხანდისხან ცოტათი ეჭვი შეეპარებოდა ხოლმე. ამ ეჭვის გასაფანტად ერთს ღონის-ძიებას წაეტანა. წაეტანა და საქმე სანანურადაც გაიხადა.

ერთს მშვენიერს დღეს მივიღეთ წერილი ამ შინაარსისა: «წუხელ შუაღამისას ჩვენს დაბაში დაეცა წვეთი გამოჩენილსა, განთქმულს და ყველასაგან საყვარელს ქართველ ახალგაზდა მწერალს, ივანე ფუტკარაძეს. წუხელსავე აქეთ-იქით ქალაქებსა და დაბებში გაჰგზავნეს დეპეშები და ბარემ ათასი დეპეშა მოგვივიდა სამძიმრისა. ოთხის დღის უკან დავასაფლავებთ დედა-ქალაქში. დიდ-ძალი ხალხი აპირებს ჩამოსვლას საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდამ, რათა უკანასკნელად გამოეთხოვოს თავის საყვარელსა, ტსბილს, მეცნიერსა და მჭევრ-მეტყველს მწერალს, რომელმაც თავის კალმით არა ერთისა და ორის გულში ჩააწვეთა სიყვარული ჭეშმარიტებისა, სათნოებისა, ნუგეშისა და პატიოსნებისა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღირსო შვილო საქართველოისავ!»

ჩვენ მაშინათვე მივხვდით, რომ აქ მოტყუება უნდათ რედაქციისა. რასაკვირველია, არ დავბეჭდეთ ეს ამბავი. თურმე ნუ იტყვით, თვითონვე-კი მოეწერა თავისი სიკვდილის ამბავი, უთუოდ იმ განზრახვით, რომ შეეტყო, როგორ იგლოვებს საქართველო.

მახსოვს კიდევ ერთი შემთხვევა. სულგანაბული ვსხედვართ რედაქციაში. ცოტა დროღა დაგვრჩენოდა და ძალიან ვეშურებოდით მალე მოგვესწრო დასაბეჭდი წერილები ასოთ-ამწყობთათვის, რომ მეორე დღეს გაზეთი არ დაგვეგვიანებინა. უცებ დაგვიწკარუნა კარი და შემოვიდა ჩვენთან ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, გადაგვიშალა კარგა ბარაქიანი ეპისტოლე და დიდის ხვეწნით გვთხოვა დამიბეჭდეთო. ეპისტოლეში ეს აზრი იყო გატარებული შესახებ ერთის თამასუქისა: ვითომც ავტორის მოხუც ბიძას ვიღაც წასდევებოდა ასიოდე თუმანს და საბუთად თურმე თამასუქი ჰქონოდა. სად წაუხვალ თამასუქს, თუ-კი იგი კანონიერია!... ეპისტოლის ავტორი ამ თამასუქზედ ამბობდა: ბიძაჩემი მოხუცებული კაცია, არაფერს აკეთებს და გულს მხოლოდ იმაში აყოლებს, რომ უწყვია სტოლზედ საწერკალამი და ცარიელს ქაღალდზედ გამუდმებითა სწერს თავის სახელსა და გვარსაო—«გუბერნსკი სეკრეტარი ესა-და-ესაო»; ეს არის იმისი სიამოვნება, იმისი საქმე. სხვა არა დაჰრჩენია-რა სასიხარულო ამ ტრიალს ქვეყანაზეო. ასეთი ხელ-მოწერილი ქაღალდი ჩაიგდო ხელში ჩვენმა მეზობელმა, დასწერა ზემოდამ თამასუქი ასის თუმნისა და ბიძაჩემის ხელი ხომ ეწერა-და-ეწერა. ეხლა ფულს გვედავება და არიქა, გვიშველეთო.

— მანდ აბა გაზეთი რაღას გიშველით?—ვკითხეთ ჩვენ.

— დიდს სამსახურს გაგვიწევს: შეეშინდება იმ კაცსა, რომ გაზეთმა მოჰხედა ჩვენს «უბედურებასა» და «სიმართლე» გამოაქვეყნაო. მაშინვე ხელს აიღებს «უსამართლო» დავაზეო.

ჩვენ უარი ვუთხარით. აშკარა იყო, რომ აქ რაღაც ხათაბალაა, და ჩვენ ამ ხათაბალის გარჩევაში არ შევედით. ყმაწვილმა და იმასთან მოსულმა ამხანაგმა გვითხრეს--დიდი უსამართლობაა და უთუოდ კაციც შემოგვაკვდება, თუ არ გვიშველით და გაზეთში არ ჩაიგდებთ ამ ამბავსაო...

**

მოგიყვანთ ერთს დავიწყებულს ამბავსაცა და თქვენ თვითონი ფიქრეთ, ვინ არ მოტყუვდებოდა, ვინ აიღებდა ეჭვს იმ ამბის სიმართლეზე, ვინ ანუ რატომ არ დაიჯერებდა ამბავსა, რომელიც... მაგრამ აი თვით ამბავი და გასინჯეთ, როგორ უნდა მოვქცეულიყავით.

შარშან ერთი ქართველი უცნობი კაცი გვეწვია რედაქციაში. მედუქნესა ჰგავნდა. ძრიელ დაღონებულის სახით გვიამბო თავის მეგობრის გარემოება: ჩემი მეგობარი, ესა-და-ესა, გახლდათ ქუთაისის გუბერნიიდამ. ჩასულა მტკვარზე და დაურჩევია თავი, რადგან ვალები დაედო და იმისი მოვალენი აპირობდნენ იმერეთში წასვლასა და იმის მამულ-დედულის გაყიდვას. ჩემს უბედურს მეგობარს გაეხადნა ტანისამოსი, დაეწყო მტკვრის პირას და შემდეგ დამრჩვალიყო. ჯიბეში 12 ვრცელი წერილი ვუპოვნეთ და შიგ დაწერილებით არის აწერილი იმის თავ-გადასავალი და ყოველივე ტანჯვა-გაჭირვებაო. თუ ამ საწყალობო ამბავს დამიბეჭდავთო—დაამბოლოვა უცნობმა კაცმა—და ამით მაინც გამაპატიოსნებინებთ უბედურს მეგობარს, რომლის გვამიც-კი ვერ გვიპოვნია აქამომდე, მაშინ თვით იმ 12 წერილსაც მოგართმევთ და უნდა მოგახსენოთ, რომ ყველანი დიდის სიამოვნებით წაიკითხავენ იმის ტანჯვას, რადგან საწყალი ხალხი თავის საკუთარს ამბავსა ჰნახავს იმის თავ-გადასავალშიო.

ჩვენ ეს ამბავი დავბეჭდეთ.

თურმე ნუ იტყვით, არც დამრჩვალა და არც არაფერი. აი ამის თაობაზედ რას იწერება იმ ვითომ-და დამრჩვალის ძმა:

„ის ვითომ-და დამრჩვალი—ჩემი მკვიდრი ძმა გახლავთ და იფიქრეთ, როგორ შემაწუხებდა იმისი ამბავი, თქვენს გაზეთში დაბეჭდილი. ამ შემთხვევაზედ ორის თვით ადრე ჩემი ძმა იმერეთში ბრძანდებოდა და ძმებისაგან თავისი წილი ადგილ-მამული გამოიყო. მამულის დანაწილებაში ერთმანეთთან უკმაყოფილება მოგვივიდა. ჩემი ძმა ჩემზე გაჯავრებული იყო და ტფილისში წასვლის დროს კიდევაც დამემუქრა—ადრე იქნება თუ გვიან, ვიჯერებ შენზე გულსაო. გაზეთთან ერთად იმ დღესვე ტფილისიდამ მომივიდა დეპეშა, რომ შენი ძმა წყალში დაირჩო და ჩამოდი ჩქარაო. მივიღე თუ არა ეს მეორე ცნობაც, მაშინვე გარდავსწყვიტე ქალაქში წასვლა, დამრჩვალის გვამის მოძებნა და დასაფლავება წესისამებრ. წავედი ტფილისში და მეორე დღეს პოლიციაში გამოვცხადდი, ვიქირავე კაცები გვამის საძებრად, წავიყვანე იგინი ერთ ნაცნობ დუქანში და დავსხი პურის საჭმელად. მე-კი დარდიანმა გარეთ აივანზე დავიწყე სიარული. ერთიც ვნახოთ, მოვარდა ჩემთან დუქნის ბიჭი და მითხრა: აიმ სარდაფში ვიღაც კაცი გეძახისო. წავყევი. ჩავედით რამდენიმე საფეხური სარდაფში და რა დაინახა ჩემმა თვალებმა: ჩემი ვითომ მკვდარი, მტკვარში დამრჩვალი ძმა აგერ გამოჭიმულა და საშინელის მუქარით მიტრიალებს თვალებს!.. იმ წამსვე მივხვდი, რადაც მომატყუა და ციბრუტივით გამოვბრუნდი უკან, გავზალში გამოვედი და ღამის მატარებლით გავწიე იმერეთისაკენ, რადგან, მართალი გითხრათ, შემეშინდა ცუდი რამ არა შემამთხვიოს-რა ჩემმა ძმამამეთქი.

დღეს ჩემი ძმა იმერეთშია და მითვლის, ვითომც შენი მოკვლა-კი არ მინდოდა, არამედ მოვალეთა თვალების ახვევა მსურდა და კიდევაც მოვიშორე თავიდამ, რადგან იმათ ჰგონიათ ახლა, რომ მე გარდავიცვალეო.

ეს რაც გიამბეთ, ხუმრობა არ გეგონოთ. ეს ისეთი მართალია, როგორც ისა, რომ შენ ამ წერილსა ჰკითხულობ, ჩემო მკითხველო. გეოცება კიდეც და გეცინება კიდეც, თუმცა ავდრიან დღეში ავ-გუნებაზედა ხარ. იცინი, მაგრამ ვაი ამ სიცილს—გლოვაზედ უარესი არის ეს სიცილი?..

გაგონილა სადმე ამისთანა «კურიოზები»!.. ნეტა იქნება კიდევ სხვა ქვეყანა, რომ გაზეთს ამდენს მახეებს უგებდნენ და ამდენ განსაცდელში ახვევდნენ. მართალი სთქვა განსვენებულმა გრიგოლ ორბელიანმა:

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?!

სანი

სულს ხომ ვერ ამოართმევთ ხალხსა. მოსპეთ ეგ საოხრო და სატიალო ხიდის ბაჟი, თორემ ქვეყანა ჩვენ დაგვცინისო და ღირსნიცა ვართ, რადგან დანახარჯი გავასწორეთ რამდენი ხანია და ხალხს-კი მაინც ვაწუხებთო.

არა, ღვთის წინაშე, ანგარიში-კი უტყუარია, ბ-ნის ქოჩორიანცის სიტყვით რომ მართლა ბაჟი ართვან მგზავრებს. აი «ჩოტკში» რა გამოვა. დღეში ოთხი ათასი მგზავრი გავა და გამოვა ვერის ხიდზე. თითოს რომ თითო კაპეიკი გამოვაცალოთ ჯიბიდამ, დღეში ოთხი თუმანი მიემატება ხიდის ეხლანდელს შემოსავალს. მერე თუ კაი ტროტუარიც გააკეთეს, კარგი სასეირნო ბაღიც გაჰმართეს, ააშენეს დროს გასატარებელი ადგილები,— შესაძლოა ერთი-ხუთად იმატოს მგზავრთა რიცხვმა და მაშინ დღიური შემოსავალი ნურც ოცი ან ოც-და-ათი თუმანი გშურთ. მაგრამ ამ სასიამოვნო სიზმარს რომ ავყვეთ, ვინ იცის სად მივალთ. თუ-კი მაგ ბაჟს დავაწესებთ, მერე გული აღარ მოგვითმენს და ახლა სხვა ბაჟებსაც წავატანთ ხელსა, მაგალითად, თითო გავლა ქუჩაში თითო კაპეიკი, თითო შესვლა საქალაქო დაწესებულებაში — თითო ან ორ-ორი კაპეიკი და სხვანი. მერე იქამდის მივალთ, რომ თვითო ცხვირის დაცემინებაზედაც თვითო გროშს წავართმევთ. შემოსავალი იმატებს, მაგრამ მაშინ ექიმებს რიღათი გაუძლევს მოქალაქე! მუქთად ხომ ფეხსაც არ გადასდგმენ ჩვენი ესკულაპები, გინდა კაცს სული ამოსდიოდეს!..

გულის სისწრაფე არ არის კარგი. კაცი უნდა დინჯი იყოს. თორემ წარმოიდგინეთ, რა დღე დაადგებოდა თუნდა თვით ბ-ნს ქოჩორიანცს, რომ მძიმე ავადმყოფმა მიიწვიოს და უთხრას — ეხლავ მომარჩინეთ, თორემ ექიმობისას არას ვიწამებ და არც არა სასყიდელს მოგცემთო! დამეთანხმენით, რომ ძალიან მძიმე საქმე დაადგებოდა ბ-ნ ქოჩორიანცსა.

ამის გამო ჩვენა გვჯერა, რომ ბ-ნი ქოჩორიანცი აქამდის გაჰზომავდა თავის აზრს იმის თაობაზედ, რომ ფეხით მოსიარულე კაცსაც ბაჟი გამოერთვასო, და გულში კიდევაც იტყოდა — ავჩქარდიო. ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგისათვის თვით ბ-ნი ქოჩორიანცი ურჩევს საბჭოს, დაჰფიქრონ და გააკეთონ არა მარტო ტროტუარი, არამედ ეხლავ, ამ გაზაფხულზედვე, ჯერ მანამ დროა, შეუდგნენ ვერის ხიდთან ცაცხვისა და ალვის ხეების ჩაყრას, გაალამაზათიანონ ვერის ჩასავალი, ოლგას ქუჩიდამ მოკიდებული ხიდამდე და იქიდამ მიხეილის ქუჩამდე. რა-კი მადლსა სჩადის ქალაქი, ბარემ მარილიც მოაყაროსო, იტყვის ბ-ნი ქოჩორიანცი,— მით უმეტეს, რომ ეს ძვირად არ დაუჯდება — იქვე წყაროა ჩინებული, საკუთარი მილის წყალიც ბლომადარის. სხვა რაღა უნდა,— მხოლოდ თავოსნობა და ხეების ჩაყრა. ერთი რიგიანი სასეირნო ადგილი მაინც ექნება ქალაქს საკუთრებად, რომ სხვა არა იყოს-რა...

მართალია, ბ-ნმა ქოჩორიანცმა ეგ ფეხით მოსიარულე კაცზედ ბაჟის გადახდევინება უფრო სიტყვის მასალად იხმარა, ვიდრე საბუთად, მაგრამ ბაჟი იმისთანა ეკალია, რომ მარტო იმისი ხსენებაც-კი ყურში სჩხვლეტს კაცსა და როგორღაც უგემურად ელიტინება.

თეოდოსიძე

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რომანებისა და მოთხრობების კითხვა ძალიან გვიყვარს, მეტადრე თუ კარგად და ნიჭიერად არის დაწერილი მოთხრობა ანუ რომანი, მაგრამ იმას-კი იშვიათად ვიკითხავთ ხოლმე, როგორ სწერენ ავტორები ამ ჩვენთვის სასიამოვნო ქმნილებათა. როგორ სწერს, მაგალითად, თავის რომანებს ემილ ზოლა, ავტორი რომანისა «დედამიწა», რომელიც ამ ზაფხულს იბეჭდებოდა სამსა და ოთხს რუსულს გაზეთში, მაგრამ ვერ-კი დასრულდა, რადგან მთავრობამ აღკრძალა ეს მართლა რომ მეტის-მეტად უწმაწური რომანი. ჩვენის აზრით, ამისი ცოდნაც სასიამოვნოა და საყურადღებო. აი ეხლაცა სწერს ემილ ზოლა ახალს რომანს, რომელსაც სახელად „ოცნება" ეწოდება და რომლის დაწერის ამბავსაც თვითონვე მოგვითხრობს ერთის რუსულის გაზეთის პირითა. რა რომანია ეს ახალი რომანი?

ახალი რომანი არა ჰგავს ზოგიერთს წინანდელს ჩემს რომანებსაო, ამბობს ზოლა. ეს რომანი აღგზნებულის სიყვარულის ისტორიაა, მაგრამ ისეთი ისტორიაა, რომ ყმაწვილსა და გასათხოვარს ქალებსაც-კი წაეკითხებათ. მოქმედება სწარმოებს ერთს პატარა ქალაქში, საცა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთს ძველებურს ტაძარსა. რომანში მოთხრობილია ამბავი მეტად ღვთის-მოსავისა და მოყვარულის ოჯახისა, რომელიც მამა-პაპიდამ დაწყებული მღვდელთა შესამოსლებსა ჰკერავს და ამითი ირჩენს თავსა. გმირი რომანისა არის პოეტური ქმნილება, ყმაწვილი და ცქრიალა ანჟელიკა.

საზოგადოდ ემილ ზოლა ბევრსა მუშაობს, სწავლობს, კითხულობს, ძიობს და მოგზაურობს იქ, საცა უნდა გაიშალოს მოქმედება მისის რომანისა. ასე მოიქცა, მაგალითად, როცა უკანასკნელი თავისი რომანი «დედამიწა» დასწერა. ჯერ რომანი არც-კი დაეწყო, რომ მთელი ტომი შესდგა შენიშვნებისა, მოსამზადებელის მასალისა. ამას გარდა ერთი წელიწადი გაატარა თითქმის იმ მხარეში, რომელიც ასწერა შემდეგ თავის რომანში. უამისობა არც შეიძლებოდა. თუ არ ასე, სხვაფრივ შეუძლებელია დასწეროს კაცმა, რაც უნდა დიდად ნიჭიერი იყოს, ისეთი რომანი, როგორიც არის იმისი „დედამიწა". ამ რომანში ხელის გულსავით გადაგეშლება სოფელი და სოფლის ცხოვრება საფრანგეთისა. გლეხ-კაცობა დიდის დაკვირვებითა და ცოდნით არის გამოხატული. ცხადია, რომ ყველა ამას სწავლა უნდოდა, მუშაობა დასჭირდებოდა და ზოლამ იმუშავა კიდეცა. ახალი რომანი-ღა?

ახალი რომანით, ამბობს ზოლა, ისე დავიწყე, რომ ერთი შენიშვნაც არა მქონია წინად მომზადებული. მე მეგონა, რომ ყველაფერს ჩემის თავიდამ ამოვიღებ-მეთქი. მაგრამ წერის დროს ისეთი დაბრკოლება დამხვდა, რომ საქმე ძალიან გამიჭირდა.

აი რა დაბრკოლებანი დახვედრია რომანისტს...

საჭიროა ავწერო ის ძველებური ტაძარი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რომანში. ამისათვის-კი ხუროთ-მოძღვრების სწავლა მომიხდა. მთელი კვირეები საერო ბიბლიოთეკაში გავატარე, ვკითხე წიგნები და ვიძიე ათასი წვრილმანები. ახლა სახლი ანჟელიკასი. ეს სახლი მე XV საუკუნეშია აშენებული: საჭირო იყო აღმედგინა სახე ამ გვარის სახლისა, მაშინდებურის ვეჟისა, სამკაულისა და მოწყობილობისა. ხუროთ-მოძღვრებს შევადგენინე გეგმა, მაგრამ სხვა წვრილმანები-კი მე-XV საუკუნის მცოდნეთაგან გამოვიძიე და გამოვიწვრილე. ეს კიდევ არაფერი. რომანში ანჟელიკა ჰკერავს და ჰქარგავს შესამოსლებს ოქრომკედითა, ახლა ამასაც სწავლა დასჭირდა. ეხლანდელი ქარგვა სულ სხვაა, მაშინდელი სულ სხვა. მეტი ღონე არ იყო, ისევ სიგელებისა და ძველ ნაწერებისათვის უნდა მიმემართნა. „წმიდათა ცხოვრებასაც" დიდი მნიშვნელობა აქვს რომანში. უამისოდ ანჟელიკას სულისა და გულის ვითარება ვერ აიხსნება და ვერ გამოირკვევა. ამასაც სწავლა დასჭირდა, ძველებური წიგნები მერე სულ სხვა ასოებით არის დაწერილი. ერთი კვირა ამ ასოების გარჩევას მოვუნდი.

და ვინ იცის, კიდევ რამდენი დაბრკოლება არ დახვედრია წერის დროს რომანისტსა. ახალი რომანი პატარა იქნება უფრო, ვიდრე «დედამიწა». სულ 14 თავზე მეტი არ გამოვა. ამ 14 თავში 4 უკვე დაწერილი მაქვსო.

მე ისე არა ვსწერ რომანებს, როგორც სხვანი. გადაწერა და გადაკეთება არ ვიცი. როცა ახალის რომანის წერას ვიწყებ, უკვე ყველაფერი მოფიქრებული მაქვს და ისიც-კი ვიცი, სულ ბოლო სიტყვები რა სიტყვები უნდა იყოს.

თან დიდი მუშა-კაცია ეს რომანისტი. რომ ჰკითხოთ, როგორ უძლებთ მაგოდენა მუშაობასაო, ასე გიპასუხებთ: რაკი ერთხელ მითქვამს რამე, უნდა შესრულდეს კიდეცაო.

ჩემზე ამბობენ, რომ ვითომ ძლიერი და მტკიცე ხასიათის კაცი ვარ. ეს ტყუილია. მე ძალიან ადვილად ვემორჩილები სხვათა აზრსა და რჩევას. ჩემი ხასიათი ის არის, რომ აქეთ-იქით მიხეთქ-მოხეთქება არ ვიცი და ერთს რასმე მოვკიდებ ხელსა და იმას ამოვიჩემებ ხოლმე გასაკეთებლად. ჯერ ისევ ყმაწვილი ვიყავ, როცა ვსთქვი, 25—30 რომანს დავსწერმეთქი და აი მასუკან 15 წელიწადია სულ ვმუშაობ და ეს ერთი აზრი მაქვს ამოჩემებული. მოწყენით თავის დღეში არ მომწყენდება. დაღლითაც არ ვიღლები, კიდევაც ვერთობი.

ზოლა მხნეა და ამიტომაც არის ძლიერი. მხნე იყავ და განძლიერდიო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ერთი ღარიბი და ღატაკი მოჯამაგირე მაღაზიაში დღეს თავის მხნეობისა და, რასაკვირველია, ნიჭის წყალობითაც საკუთარს სასახლეში სცხოვრობს ფრიად გამდიდრებული და განდიდებული.

ყველაფერში ეგრეთი აჩემება ვიციო, განაგრძობს ზოლა. წინად ბევრსა ვსწევდი თუთუნსა; მერე შევნიშნე, რომ მწყინს და აი რვა წელიწადია აღარა ვსწევ და არც მინდა წევა. ამ ბოლოს ხანში შევატყვე ჩემს თავს, რომ ვსუქდებოდი და ვმძიმდებოდი, გარედ აღარ გამოვდიოდი. ეს, რასაკვირველია, სიკვდილი იქნებოდა ჩემის ნიჭისათვის. და აი ავიჩემე, რომ უნდა დავმჭლევდე და დავსუსუქდე-მეთქი. ეხლა ისევ ისე სუხუქი და მჭლე ვარ, როგორც წინად ვიყავ. 20 წლის ჭაბუკსა ვგევარ ეხლა. რათა? იმიტომ რომ სასმელებს აღარას ვეტანები, პურს თითქმის სულ არა ვსჭამ, ბევრს დავდივარ, გვიან ვწვები და ადრე ვდგები. ამას იმაზე ვამბობ, რომ ვინც ერთს რასმე მოინდომებს და იმ ერთს გამოეკიდება, უთუოდ შეასრულებს თავის წადილსა.

თორემ ბუნებით მე ძალიან ზარმაცი კაცი ვარო. სულ 3 საათს ვმუშაობ დღეში, მაგრამ რაკი სინამ ერთს არ გავათავებ, მეორე საქმეს არ დავიწყებ, ამიტომ სხვაზე ბევრსაც ვასწრობ. ოჰ, მუშაობა კიდევ ბევრი მაქვს. მიეფანტ-მოეფანტე ჩემი წინა-მოადგილენი, მაგრამ ახლა მოელენ სხვა ახალნი, ახალის ნიჭით მომადლებულნი, და ისინი კიდევ მე ჩამაფუჩეჩებენ. მაშ რაღას ვმუშაობ, რაზე ვიდგამ წლებზე ფეხსა? იმიტომ-რომ მუშაობა თვით სიცოცხლეა; იმიტომ-რომ თვით მუშაობაა ჯილდო კაცისაო.

# უცხოეთი

**ბოლგარია.** კიდევ ბოლგარია. ეს სამ-ოთხი წელიწადია, ბოლგარიაა გამოჭიმული ყველა გაზეთებში პირველ ადგილზე. რას იზამთ, როცა ამ ჟამად ბოლგარიაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. აი «Times»-ი რას ამბობს დღეს ამ ქვეყანაზე:

«საეჭვოა, რომ ბოლგარიის მთავარი გამეფებულ იქმნას ბოლგარიადამ, თუნდა მისი გამეფება თვით გერმანიამაც მოინდომოს. ბისმარკი ამბობს, რომ ბოლგარია ჩვენთვის არაფერიაო, და იქნება მართლა არაფერიც იყოს. მაგრამ, ჩვენის აზრით, არ შეიძლება ბოლგარიას ისე ვუყუროთ მხოლოდ, როგორც ერთს პატარა, ნორჩს სახელმწიფოს ანუ სამთავროს, ასე მოიქცევა მხოლოდ დინჯი, გადაყრუებული ფილოსოფოსი, რომელიც არხეინად ჰზის თავის სამუშაო ოთახში, ანუ ისეთი პროფესორი, რომელიც წვრილმანების გამოკიდებით გამოჩერჩეტებულა და რაც დასანახია, იმას ველარა ჰხედავს. ამისთანა ხალხი ხომ თვით ბისმარკსაცა ჰგავს. ხოლო სახელმწიფო მოღვაწე ასე ვერ დაუწუნებს ცქერას ბოლგარიას. ამ ნაირის კაცისათვის ბოლგარია სხვაფრივ არის შესანიშნავი და სახელდობრ თავის გეოგრაფიულის მდებარეობით არის შესანიშნავი. ტყის ხე, დიდს ხევზედ გადებული, იქნება არაფრად არა ჰღირდეს, ხე იყოს ცარიელი და დავიდარაბის ღირსი არ იყოს, მაგრამ თუ-კი ხევ-გადმა გასასვლელად მეტი გზა არ არის, ამ ტყის ხეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა და დიდი ფასიც უნდა ჰქონდეს. თავისუფალი ბოლგარია, დამოუკიდებელი რუმინია დიდი იმედია, რომ აქეთკენ ფეხი ვეღარავინ მოიკიდოს. გარნა თუ ბოლგარია დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაშინ რუმინიაც ვეღარ დაიცავს თავისუფლებასა, სერბიასაც გაუჭირდება უმონებლად ყოფნა. მართალია, გერმანიისათვის სულ ერთია, ვინ იმთავრებს ბოლგარიაში, პრინცი ფერდინანდი თუ სხვა ვინმე, მაგრამ ისკი სულ ერთი არ არის, იმის მოკავშირე ავსტრო-უნგრიას დამოუკიდებელი სამთავრო და სამეფოები ეყოლება გვერდზე, თუ დამონებულები. ჩვენის აზრით, ფერდინანდ კობურგელის გამეფება ძნელი საქმეა, თუნდა გერმანიამაც მოინდომოს. თუ მაშა მოიხმარა ვინმემ იმის გამეფებისათვის, მაშინ არა ერთი და ორი სახელმწიფო შედგება ყალხზე და წაექომაგება ბოლგარიასაცა და იმის მთავარსაცაო».

— ხმა ისმისო, ამბობს გაზეთი „Новости", რომ ოსმალეთი მზად არის შეასრულოს რუსეთის სურვილი ბოლგარიის შესახებ, თუ ამ სურვილს მხარს მისცემენ ყველა დიდნი სახელმწიფონი, რომელთაც-კი ბერლინის ტრაქტატზე უწერიათ ხელიო. თუ ყველამ სთქვა, უკანონოა მთავრობა ფერდინანდისა ბოლგარიაშიო, მაშინ ოსმალეთი გამოაცხადებს, რომ მან წართმევა ტახტი და უფლებაო.

— გაზეთი «Nord»-ი ამბობს, რომ პრინცი ფერდინანდი თავს მოიდრეკს დიდთა სახელმწიფოთა წინაშე და თავის ნებით დაანებებს თავს სამთავრო ტახტს, რომელიც უკანონოდ უპყრიაო.

# დეპეშა

20 თებერვალი

**პეტერბურგი.** დღეს მისმა უდიდებულესობამ დაათვალიერა ჯარები $23_{1/4}$ ბატალიონი, 25 ესკადრონი ქვეითი ჯარი და არტილერია ცხენოსანი.

გაზეთი „Гражданинъ"-ი იუწყება: საფრანგეთის მართებლობას მიწერ-მოწერა აქვს იმის თაობაზე, რომ რუსეთიდგან საფრანგეთში შემორეკონ ცხვარი, რქოსანი საქონელი და ღორი, მაგრამ ისე-კი, რომ არავითარი ჭირი თან არ შემოჰყვეს.

**ბერლინი.** ოფიციოზურ წყაროდგან იუწყებიან, რომ პარლამენტს უნდა მოსთხოვონ სესხად 17 ან 19 მილიონი სამხედრო რკინის გზის გასაყვანად აღმოსავლეთ პროვინციებში.

**ვენა.** ბერლინიდგან იწერებიან, ვითომ გერმანიის ელჩმა სტამბოლში აცნობა ოსმალეთს, რომ რუსეთის წინადადების უარ-ყოფა ბერლინის ხელ-შეკრულობის დარღვევას მოასწავებსო; თუ ოსმალეთმა უარჰყო რუსეთის წინადადება, მაშინ რუსეთს ნება ექმნება უარ-ჰყოს ბერლინის ხელ-შეკრულობა ევროპიის მშვიდობიანობის დაურღვევლადაო; რუსეთს შეუძლიან შეავიწროვოს ოსმალეთი მცირე-აზიაშიო. შესაძლოა, ოსმალეთი, როცა საქმე უკანასკნელის წერტილამდე მიაღწევს, ისე მოიქცეს, როგორც იმის საკუთარსა და ევროპის ინტერესებს შეესაბამება.

პეტერბურგის ბირჟა 19 თებერვ.

| | მყიდველ. ნი. | გამყიდ-ველნი | გაყიდუ-ლია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო . | 9 70 | — ,, | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 195½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . . | — ,, | — ,, | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — ,, | — ,, | 257½ |
| — მეორისა. . . . . | — ,, | — ,, | 248¾ |
| გირავნობ. ფურცელნი | | | |
| ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

ШОКОЛАТЪ С. СІУ и К° (50—12)

სომხების სასულიერო სემინარიის ნერსესიანის სამზრუნველო რჩევაში 1888 წელს 30 მარტს, საღამოს რვა საათზე, ვაჭრობით (განუმეორებლად) გაიცემა იჯარა წმინდა სანთლის გასყიდვისა სომეხთ ეკკლესიათა და მრევლთათვის. საჭირო ქაღალდების განხილვა და გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, დილით 10 საათიდგან 12 საათამდე, გარდა კვირა-უქმისა. (3—1)

Доз. цен. Тиф., 20 февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე